

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევით შედგენილი რუკების გავრცელება დასჯადი იქნება



საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევით შედგენილი რუკების გავრცელება მხოლოდ სისხლის სამართლის წესით არ დაისჯება. კანონდამრღვევებს პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული წესითაც დაეკისრებათ და მათთვის ფულადი ჯარიმებიც განისაზღვრება.

ირაკლი სესიაშვიდმა და ოთარ ჩრდიღერმა პარლამენტს „სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილებები შარშან წარუდგინეს, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევით შედგენილი რუკების დამზადება, წარმოება და გამოყენება ჯარიმით ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

ამავე პროექტით, ამ ქმედებისთვის იურიდიული პირი ჯარიმით და საქმიანობის უფლების ჩამორთმევით დაისჯება. ამავდროულად ინიცირებისთვის მზად არის „ადმინისტრაციულ სამართადდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილებების ახალი პროექტი, რომლის გათვარისწინებით, ასეთი დარღვევების გამო ფიზიკური პირი 100, ხოლო იურიდიული 150 ლარით დაჯარიმდება.

ცვლილებების შესახებ პროექტი პარლამენტის ბიუროს დღეს წარედგინება.